




ირმა ტაველიძე
ბნელ წყლებში

ირმა ტაველიძე
პნელ წყლებში



წიგნი გამოიცა მწერალთა სახლისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით.

გარეკანზე: ეგონ შილეს „მძინარე წყვილი“

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-699-5

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

– რას უწოდებდი ბედნიერებას?

– ალბათ ის, რაც უბედურებით დამთავრდა.

ნიკო სამადაშვილი, „შეხვედრები და სინანული“

სარჩევი

ხის თოჯინა 9

მელიების სოფელი 36

გოგონა ზაფხულის ღამიდან 63

ანკვეტილი ღილები 98

ხის თოჯინა

ვინ იტყვის, როგორ გაჩნდა იმ ქუჩაზე მტაცებელი ცხოველი- ვით ბენვაშლილი, პირზე ნერწყვმომდგარი სიბნელე. მახსოვს, რო- გორ გამოაჩინა ეშვები, მომიახლოვდა და მეც მის ნაწილად ვიქე- ცი. გაყინული ძვლები გამითბა. საფრთხე თავშესაფრად მექცა და მადლიერების ვეება ტალღამ ყველა ის აზრი გადარეცხა, ურთიერ- თსაპირისპირო მიმართულებებს რომ მიჩვენებდნენ. დამთავრდა ტანჯვა და წამება. სიბნელის წიაღში განაბულს ისლა დამრჩენოდა, საკუთარი სახელი და გვარი დამევიწყებინა. რაში მჭირდებოდა ან ერთი, ან მეორე, როცა ვიცოდი, ნყვდიადიდან ველარასდროს გა- მოვალწევდი. წამოდგომის უმცირესი სურვილიც არ მქონდა. გუ- ლალმა ვინეკი და შავ ცას ავცქეროდი, სადაც მილიარდი წლის შემდეგაც კი არ გაკრთებოდა მანუგეშებელი სინათლის სხივი. მთა- ვარი იყო, რომ აღარ მციოდა – უხილავმა ხელმა თავქვეშ ბალიში ამომიდო და ფეხის თითები გულმოდგინედ დამიზილა. ჩემზე ზრუ- ნავდნენ – ამასაც მოვესწარი. წესით, ქუჩა არ უნდა გამქრალიყო, თავის ადგილას უნდა დარჩენილიყო და ფეხაჩქარებული გამვლე- ლების ძველი ჩექმებისთვის გაყინული, უგრძობი მკერდი შეეთა- ვაზებინა. ჩამქრალ შუქნიშანსაც იმ თავისი გულგრილი მზერით უნდა გამოეხედა – მერე რა, თუ კაცი კვდებოდა. ზამთრის ქალაქს ვერაფერი გააკვირვებდა. დილა ცუდი ამბებით იწყებოდა, უარესი ამბების მომლოდინე, გაღიზიანებული ადამიანები შინიდან გამო-

დიოდნენ და რალაცას დაეძებდნენ: დროებით სამუშაოს, მოვალის კვალს, ძველმანებით მოვაჭრეს, იაფ კარტოფილს, ცეცხლგაუმქრალ ლუმელს, ორ ღერ სიგარეტს, გადაყრილ სათამაშოებს – ბავშვებისთვის და ჰუმანიტარული დახმარების ნამლებს – მოხუცი მშობლებისთვის. კიდევ კარგი, არც შვილები მყავდა და არც ინსულტგადატანილი დედ-მამა.

ვინეკი და, ყველაფერთან ერთად, იმის დავინყებასაც ვცდილობდი, თეატრში რომ მელოდებოდნენ. სახეების გახსენების თავი არ მქონდა. ისინი, მომლოდინეები, ერთიანად უმნიშვნელო გამხდარიყვნენ ჩემს ახლანდელ ყოფაში. მოგონებების გაქრობა, საბოლოოდ გაუვნებელყოფა მინდოდა. სიბნელის შავი ღმერთი მე არ გამომიხმია – თვითონ მომიახლოვდა მძიმე ნაბიჯებით და ორივე ხელი მაგრად შემომხვია. თავიდან სიტბო და სიმშვიდე ვიგრძენი, მერე – ნუხილი იმ დაპირებების გამო, რომლებსაც შესრულება აღარ ეწერა. სცენაზე ფეხის დადგმა ისეთივე შეუძლებელი ჩანდა, როგორც შორეულ მანათობელ ვარსკვლავზე აბობლება და მოკალათება. ვილაც ალბათ ამაზეც ოცნებობდა. სხვა მსახიობით შემცვლიდნენ – ასეთივე აღნაგობის სხვა ბიჭით, ვისაც კაბების ჩაცმა სახალისოდ და თავშესაქცევად მოეჩვენებოდა. რა საჭირო იყო ეჭვიანობა? მოსახდენს ველარაფერი აღუდგებოდა ნინ: კლარა კეკელიძე წვივსაკრავის გაკეთებასაც მოსთხოვდა და მერე გულის წასვლამდე იცინებდნენ. ათასჯერ წარმოვიდგინე, როგორ შემომქონდა ცაცხვის ყვავილების ნაყენი თეთრი ფინჯნით – მონამლული ნაყენი, რომელსაც მწყურვალის ხარბი, მოუთმენლობისგან დაკუნძილი ტუჩები უნდა დასწაფებოდა. მოირები კი სცენის კუთხეში ისხდებოდნენ და იმ ფრჩხილებს დაიქნიდნენ, რომლებითაც ყელში უნდა სწვდომოდნენ პირველივე შემხვედრს.

ეს შემხვედრი კი მე აღმოვჩნდი.

ჩემი სახელი და გვარი ჯერ კიდევ მახსოვს, მაგრამ ახლა, როცა ძალა თავის წამოსანევედაც არ მყოფნის, მათი გულმონწყალების იმედად უნდა ვიყო, ვინც ადამიანი უპირობოდ, წარსულის მიწაზე დატოვებული კვალის მიუხედავად შეიყვარეს.

კლარა კეკელიძეს სულ არ ადარდებდა, რომ რეპეტიციებზე დახეული ფეხსაცმლით უნდა მევლო. წარმოსახვითი სცენებისა და სურათების თვალღებვა ისე გაიტაცებდა ხოლმე, ყოფითი წვრილმანები არც ახსენდებოდა, თუნდაც მათ გამო ვინმეს სასიკვდილო საფრთხე დამუქებოდა. მშვივრებსაც გვიმუშავია, მაღალი სიციხით გონებადაბინდულებსაც. არაერთხელ გამხდარა თავისივე ახირების მსხვერპლი, რასაც, ცხადია, კარგი არაფერი მოჰყოლია – რამდენიმე დღით ყველას შეგვიძულებდა და ხმას აღარ გვცემდა ხოლმე. როცა მისი შეცდომა მეტისმეტად თვალსაჩინო იყო, ჩურჩულს იწყებდა – წყნარად, ძალიან ხმადაბლა აღიარებდა, რომ რაღაც ვერ გაითვალისწინა, რამაც მთელი ჩანაფიქრი წყლად უქცია – აშშორებულ, თავკომბალებით სავსე გუბედ. ეს შედარება მე მოვიგონე – ამნამს, წყვლიადის ტკბილ, ნეტარ გაურკვეველობაში მეფესავით წამოწოლილმა. კლარა კეკელიძე იქით იყოს და სად ვარ?

შობის შემდეგ გზები ერთიანად მოიყინა. შინიდან ნაშუადღევს გამოვდიოდი და წმინდა წყლის დასახლებაში დავეხეტებოდი, დროის გასაყვანად ვილაცებს ჩამოვუდგებოდი ხოლმე, ან საქმიანი იერით დავდიოდი ბაზარში და იქიდან გამოსულს ჯიბეში ორიოდ წითელი ვაშლი თუ აღმომაჩნდებოდა – დიდი ამბავი!

ისიც მოყინული უნდა ყოფილიყო – ჩემი ბოლო გზა.

სანამ თვალთ დამიბნელდებოდა, წუთით ადრე ჩამქრალ შუქნიშანს შევხედე და გავიფიქრე, რომ მისი სიკვდილი კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა შეუმჩნეველი. ვინ იცის, რა დრო გავიდოდა, სანამ სასწრაფო დახმარების მანქანა კივილით შემოუხვევდა კუთხეში და იქიდან მესაფლავეები გადმოხტებოდნენ – მიწიანი ნიჩბებით, ჭუჭყისგან გაშავებული ქურთუკებით, შუქნიშნის დაშრეტილ თვალებს მიაჩერდებოდნენ და ამოიოხრავდნენ.

ქალაქის მთავარი საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების ექიმს მოკლე, ჭაღარაშერეული წვერი და ახლად შეღერებული ქალიშვილივით უმანკო, ქვეყნის უნახავი თითები აქვს. ახლომ-

ხედველიც რომ ყოფილიყო, სქელჩარჩოიანი სათვალთ, სურათი უფრო იოლი წარმოსადგენი იქნებოდა, მაგრამ არ არის. მოყვი-თალო კანზე, მარცხენა ყურთან, ლაქა დავლანდე – საფრანგეთის ფორმას იმეორებს. არა, ნამდვილად საფრანგეთია – ერთი ბენო, უმონყალოდ შეკუმშული, ავად ჩამუქებული. ცუდ წინათგრძნობას რალაც უნდა შევაგებო, თუნდაც სახელდახელოდ მოძებნილი სახალისო შედარება, რომელიც პოლიციის მანქანის ციმციმასავით მიიპყრობს ყურადღებას, გამაბრუებს, აჩქარებულ გულისცემას ნელ-ნელა ჩამინყნარებს. მოსახდენი მომხდარია: აქ ვარ და შეჭა-ლარავებული კაცის შემფოთებულ სახეს ავყურებ. მეუბნება, თვა-ლები დახუჭე და მარცხენა ხელი ასნიეო. ხელი არ უნდა დავუშვა – ვილაცას თუ რალაცას უნდა ვესალმებოდე სამყაროს დასასრულამ-დე. მარცხენა ფეხის აწევისას ცივი დინების სიახლოვეს ვგრძნობ – ყინულოვანი წყალი მალლა-მალლა ამოდის და წამში უკვე მი-სი საკუთრება ვარ – ბრჭყვიალა ნემსკაგზე წამოცმული ჭიაყელა დაუფიქრებლად გადავყლაპე. ვფართხალებ. ექიმი ფეხისგულზე მილიტინებს. მილოცავს, ყველაფერი იმაზე უკეთესადაა, ვიდრე მეგონაო. ერთიანად მეყინება ტანი, თვალები, ტუჩები, ენა და ვე-ლარაფერს ვპასუხობ. ჭიაყელად ვიქეცი, უზარმაზარმა ცხოველმა გადამყლაპა, მის ბნელ გულ-გვამში ვიგრიხები. მითხარით, როგორ მოხდა, რომ თეატრში, „მოახლეების“ რეპეტიციაზე მიმავალი ამ ვინრო და უჰაერო ოთახში აღმოვჩნდი? პასუხის გაცემა არ შეუძ-ლია – უხმოდ დასმული შეკითხვა, ცხადია, ვერ გაიგონა. თხელ თითებში შემთბარ მანდარინს ატრიალებს და ფიქრობს.

როგორ ჩნდებიან მანდარინები ავადმყოფის საწოლის გვერ-დით მიდგმულ დაბალ ტუმბოზე?

– მნიშვნელოვანი ტრავმები არ შეინიშნება, – მეუბნება. – ორ-სამ დღეს დაგაკვირდებით და გაგიშვებთ.

მისი წასვლისთანავე დამლაგებელი შემოდის და ყველაფერს მდუმარედ აწესრიგებს. საწოლის ქვეშიდან გამოღებულ, ორად გა-კეცილ ფურცელს სველი თითებით მიწვდის. ნაწერი არ მეცნობა. პირველი წინადადების ნაკითხვითაც კი არ ვინუხებ თავს. არავის

ვიცნობ იმდენად გულისხმიერს, საავადმყოფოში მოსანახულებლად მოსულიყო და ჩემი უბნო ძილი არ დაეფრთხო. მხოლოდ ბებეს, ელისაბედს შეეძლო თითის წვერებზე სიარული, მაგრამ ის ახლა ძალიან შორსაა – ციმბირის დაწყველილ ქალაქში, მშობლებთან ერთად. ნასვლის წინ მითხრა, არ დაგივიწყებ და წერილებს მოგწერ ხოლმეო, მაგრამ სულ ფეხებზე მკიდია, ისევ ინახავს გულში დაპირების ხსოვნას თუ არა. მის წარმოდგენაში აქაურობა ამოუშრობი ლაფით დაფარული ადგილი იყო, რომლის მცხოვრებლებსაც შიგ წოლისა და ღორებივით გასივების გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. ნევხარ და აღსასრულის დღეს ელოდები – ვილაც დაბამბულქურთუკიანს, რეზინისჩექმებიანს, წვერმოშვებულს, მოხერხებულად რომ გამოგისვამს ყელში დანას. ყველაფერი სულერთი გამხდარა – სიცხეც, სიცივეც, შემოდგომის ქარებიც, შავი ციდან წამოყრილი სეტყვაც. არ გაემტყუნებოდა ბებეს, ჩემს უბადრუკ ყოფაში რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც ფეხქვეშ საგრძნობ სიმყარედ გამოადგებოდა? მშობლებსაც თავში მხოლოდ ავეჯით გამოვსებული სახლი, სუფრის სიმძიმე და ყოველდღიური უსაფრთხოება უტრიალებდათ. ჩემები კი, დედაჩემი და ბებიჩემი, კვერნაქის სასაფლაოზე იწვნენ – ბოლომდე დამშვიდებულები, გულხელდაკრეფილები, ნანგრევებში მოყოლილი ქვეყნის ბორგვას, კვნესას და ოხვრას გარიდებულები.

ბებიჩემმა კარგა ხნის წინ შემაგუა იმ აზრს, რომ ერთ დღესაც მოკვდებოდა და სისუფთავეზე ზრუნვას, ძველი შარვალ-პერანგების გადაკეთებას, წყლიან ჭიქაში ჩაგდებული ნახშირითა და შიგ ჩაყრილი სამყურას ფოთლებით შეშინებულების გამოლოცვას სადღაც სხვაგან გააგრძელებდა. ხუთი თუ ექვსი დღე იავადმყოფა და ისე მშვიდად მიიცვალა, თითქოს სალამოხანს აუჩქარებლად მიმავალმა სოფლის რუს გადააბიჯაო. საძინებელში დასვენებულს ვუყურებდი, ყურში კი მისი ნამღერი ჩამესმოდა. ყოველთვის დიდი ხალისით მღეროდა ხოლმე. მეც ვიდექი და ვაგულიანებდი, მერე ორივე ლოყას ვუკოცნიდი. ისიც მკოცნიდა და მეუბნებოდა – ირინა კი მყავს, მაგრამ რომ მოკვდები, შენც უნდა დამიტიროო.

სხვა დროს უთქვამს, არ დავინახო, ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდოო. ნეტა როგორ უნდა დაენახა? არ მიტირია. ყვავილების გულისამრევ სუნს ველარ გაუუძელი, იმ ოთახიდან გამოვედი, სადაც ბებიჩემის ცხედარი ესვენა და მეზობლის მანქანაში ჩავვჯექი. ბოლო დღესაც იქ ვიჯექი, სანამ შეკრებილებმა ახლად გათხრილ საფლავთან ჩემი ხილვა არ მოინადინეს. დავყევი. ნოტიო მინაშიც ვურჩე ხელი...

– ალექსანდრე?

ექთანს ბრონეულისფერი ტუჩები აქვს.

– ალექსანდრე, არა?

ზამთრის მიწურულის ბრონეულია – კანშემხმარი, ალაგ-ალაგ ფერგადასული.

– სახლში ვერ გაგიშვებთ. კიდეც რამდენიმე დღე უნდა დაგაკვირდეთ.

გამოფხიზლებას ვერ ვასწრებ. სანოლთან უცხო სახეებს ვხედავ და საკუთარ თავს ვეკითხები: რომელი ჩრდილიდან გამოვიდნენ ეს ქალიშვილები? რის სათქმელად ემზადებიან? ძილის გაგრძელება ყველაზე გონივრული იქნებოდა, მაგრამ ჩემი ერთი ნაწილი, რომელიც თავაზიანობას ყველაფერზე წინ აყენებს, ხელჩართულ ბრძოლაშია ჩაბმული ჩემსავე მეორე ნაწილთან, რომელსაც ხმის ამოღება არ უნდა. რაღა ახლა ჩამომისხდნენ ფეხებთან – თავდამძიმებულს, გულისრევის შეგრძნებით გაღვიძებულს ძალა ორი სიტყვის სათქმელადაც კი არ მეყოფა. წადით, უცხო ქალიშვილებო, დამტოვეთ ჩემს ბედისწერასთან, რომლის ენაც სანახევროდ უკვე ვისწავლე. თუ რამე მომიტანეთ, ვაშლი ან ფორთოხალი, მოურიდებლად ამოალაგეთ, ტუმბოს თავზე დაფენილ ხელსახოცზე დაანყვეთ. არა, მარცხენა თვალი ასე შესამჩნევად არ უნდა გამეხილა. ველარ მოვატყუებ, თქვენი მოსვლა-წასვლა ვერ გავიგე-მეთქი. მაღალს, შავთმიანს საიდანღაც უნდა ვიცნობდე. მეხსიერება ზღვის უკაცრიელ ნაპირზე სილის სასახლეების შენებითაა გართული და ჩემთვის არ სცალია. ქაფიანი წყალი ყველა ნაგებობას ნამში უნადგურებს.

– წერილი დაგიტოვეთ, – მეუბნება მეორე ქალიშვილი, რომელიც, დავიფიცებ, აქამდე არასდროს მინახავს. – როგორც კი გავიგეთ... როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ, მაშინვე... კარი რომ შემოვალეთ, გეძინა. და წერილი...

– წერილი?

– აქ ის ქალი დაგვხვდა.

– ქალი?

– თეატრიდან. იმას მივეცი.

საკვირველია, ასე უხმაუროდ რომ მომინახულა კლარამ, მხრებში რომ არ ჩამაფრინდა და სულის ამოხდამდე არ მაჯანჯლარა. თავიდან ალბათ არც კი დაიჯერებდა, რომ ყველაფერი მისი შრომის წყალში ჩასაყრელად, მისი ჩანაფიქრისთვის ნორჩი ყლორტების მოსასხებად არ მოვანყვე.

ესენი კი სხედან და ისე შემომყურებენ, თითქოს ქრისტეს თაბაშირის ქანდაკება ვიყო – ყოვლისმცოდნე და ყოვლისმგრძნობი, ამავე დროს მყიფე, დღემოკლე, ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად ყველაზე ძვირფასის დამთმობი. თვალებსაც კი არ ახამხამებენ. წარმოდგენა თუ მქონდეს, რა უნდათ, რას ელიან ზამთრის სალამოს ბინდბუნდში თეატრის გზაზე ნაპოვნი გონდაკარგული მსახიობისგან, რომლის ზუსტი დიაგნოზიც ექიმს ჯერ არ დაუსვამს. ჰო, მსახიობი ახალგაზრდაა, შეუხედავი არ ეთქმის, გულში ჩამწვდომი მონოლოგების სახელდახელოდ შეთხზვაც შეუძლია, მაგრამ მერე რა?! ექვსი წლის ვიყავი, სასკოლო წარმოდგენაში ოქროს წინილის როლი რომ შევასრულე – უშეცდომოდ ვთქვი გულმოდგინედ დასწავლილი სტროფი და ყვითელი ბამბაზიის ფრთები ნაზად დავიქნიე. ვილაცამ თავზე ხელი გადამისვა, ვილაცამ მეტისმეტად შემაქო... ახლაც, ზამთრის ღამეში გაყინვას გადარჩენილს, სასწაულის ძალით ამქვეყნად მობრუნებულს, ერთადერთი სადარდებელი მაქვს – რეპეტიციებს რომ ვაცდენ.

– საიდან მახსოვხართ? – ვეკითხები მალალ, შავთმიან ქალიშვილს.

თავს გვერდზე აბრუნებს. არ მეჩვენება – ცრემლები ჩამოსდის.

– თქვენი სახელი? – მეორე ქალიშვილს მივმართავ.

– მარიკო.

– არ წამიკითხავს წერილი, მარიკო. დავკარგე. ალბათ დამლაგებელმა გადააგდო.

ფერდაკარგული, აცრემლებული მაღალი ქალიშვილი სწრაფად გადის ოთახიდან. ჩემკენ არც გამოუხედავს.

მარიკოს შევეყურებ. კითხვები, რომლებიც მოსვენებას არ მძლევს, ერთიანდება და უმთავრეს კითხვად ყალიბდება. აქ, საავადმყოფოში, ისევ ისე მანუხებს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ახსნის შეუძლებლობა, გაურკვეველობასა და მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრების გარდაუვლობა, როგორც მის კედლებს გარეთ.

– მომისმინე, ალექსანდრე...

კარგა ხნის მეგობრები ვართ და არ მახსოვს? ან ის – გაქცეული – შეყვარებულად მყავდა და უმონყალოდ დავივიწყე? როგორც ყოველთვის, ახლაც ჩემი ბრალი იქნება ყველაფერი.

– კარგად არც მე მესმის, რა ხდება, – თვალბეჭეტი მიყურებს და აგრძელებს: – წერილი მოგწერა. ვერ გეტყვი, რა წერია იმ წერილში – არ წამიკითხავს. ამბობს, რომ ახლა მთავარის გარკვევას წინ აღარაფერი დაუდგება.

– რა მთავარი?.. როდის?

– კარგი, სხვა დროს ვილაპარაკოთ.

წამოდგა და პალტოს ლილების შეკვრას შეუდგა. პალტო ძველია, მოთელილი, სახელოებგაქეჩილი. ერთ დროს მუქი ლურჯი იქნებოდა.

– არ წახვიდე.

– უნდა მივხედო, თავს არაფერი აუტეხოს.

– ვინ?

– არავინ, ალექსანდრე, არავინ.

მძიმე-მძიმედ ვსუნთქავდი სირბილისა და ყელზე შემოხვეული სიხარულის მახრჩობელა ყულფისგან. ოქროს წინილად უნდა

ვქცეულიყავი – მთელი ხუთი სტროფი უნდა მესწავლა და სწორდროს მეთქვა. არც ერთი წუთით ადრე ან გვიან. ფრთებიც უნდა მქონოდა, რომლების აქნევა-დაქნევაშიც ნელ-ნელა დაგხელოვნდებოდი. სცენაზე გამოსასვლელ ფორმას, რა თქმა უნდა, ბებიჩემი შემიკერავდა – ცხრათავიანი დრაკონის გაცოცხლება რომ მეთხოვა, იმაზეც არ დაიხვედა უკან, ცხრავე თავს სხვადასხვანაირად მოუქარავდა. ყელზე ვკოცნიდი და ვუყვებოდი, რა ამბებში უნდა გახვეულიყო საწყალი ოქროს წინილა: დასაწყისშივე დაიკარგებოდა და მერე ყველა მის ძებნაში იქნებოდა, მელიას შეხვდებოდა, დამეგობრდებოდნენ და თოვლიანი მწვერვალისკენ გასწევდნენ. სხვა წინილები (თითქმის ნახევარი კლასი) მორჩილად ისხდებოდნენ საბუდარში, სანამ ირგვლივ ალიაქოთი იქნებოდა ატეხილი...

– გოგოს რატომ არ მისცეს ეგ როლი? – მკითხა ბებიჩემმა.

პირი გამიშრა. მივხვდი, რას გადავრჩი. სხვა რატომ უნდა გამხდარიყო ოქროს წინილა, როცა მე – ასეთი მონდომებული, სამსტროფიანი და ოთხსტროფიანი ლექსების ზეპირად მთქმელი, მსახიობობისთვის დაბადებული, საკუთარ ოთახში უამრავი მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი – მზად ვიყავი, წინილების მთელი მოდგმის განსაცდელი მხრებით მეზიდა!

თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე ამოსული ნარშავის როლსაც ვითამაშებდი, მაგრამ რატომ? რა აზრი ჰქონდა იმას, სინამდვილეში ვინ ვიყავი, თუ გარდასახვა სრულყოფილად შემეძლო?

და სინამდვილეში ვინ ვიყავი?

ექვსი წლისას ამის გააზრების მოთხოვნილება დიდად არ მწუხებდა.

როცა ერთი თვის წინ მოახლის როლის თამაშს დავთანხმდი, გული ცუდს არ მიგრძნობდა – კლარა კეკელიძის ახირება წარუმატებლობისთვის განწირულად სულაც არ მეჩვენებოდა. თავიდანვე გვითხრა, ჟან ჟენეს უნდოდა, მოახლეების როლები კაცებს შეესრულებინათო. წმინდა წყლის ბიბლიოთეკაში ვიკითხე და ჟან ჟენეს სახელიც არ გაგვონათ – თავები უმწეოდ გადააქნიეს. ჩასუქებულ-

მა, სქელტუჩება ქალმა მუქი თვალეზი შემომანათა და წვერდაორ-თქლილი კალმით ჩაინწერა მწერლის გვარი ქალაღდის ნახეგზე, მერე ქალაღდი ფრთხილად გაკეცა და საბჭოთა ენციკლოპედიის ტომის ქვეშ ამოდო. მიყვარდა ეს ქალი. იმასაც ვუყვარდი – ნიგნთსაცავში შესვლისა და ძველი თუ ახალი გამოცემების არჩევის უფლებას მაძღვედა ხოლმე.

ვხვდებოდი, მოახლის როლის შესრულება არ გამიძნელდებოდა. ყოვლისშემძღობის რწმენა – ბავშვობიდან გამოყოლილი და ბოლო წლებში საკმაოდ შერყეული – ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჩემი ნაბიჯების მიმართულებას. მოქუფრული დღეების გახალისება, ახალი თავშესაქცევი მელოდა. თავიდან ყველაფერი ძალიან ადვილად მოჩანდა.

შავი კაბა. შავი ფეხსაცმელი.

მერე ქალბატონის ძვირფასი, ფერად-ფერადი ატლასის კაბები.

გრძელ მძივებში გახლართული დები. მსახურად დაბადებულთა ცხოვრების გარდაუვალი უღმობლობა. ანითლებული სახეები და ოფლიანი ხელისგულები.

მეც ხომ მათსავით უქონელი და ფეხქვეშ მიწაგამოცლილი ვიყავი!

იმ საღამოსაც, თეატრში მიმავალს, წარმოდგენილი მქონდა, რად იქცეოდა ჩემი ხმით ნათქვამი თითოეული სიტყვა თუ ფრაზა სულშეგუბებული დარბაზის სიჩუმეში. ცუდად განურული ჩვრიდან ჩამოცვენილი წვეთების ნკაპუნიც კი მესმოდა. მერე – უეცრად მოქნეული ჩვრის ძირს დატყეპების ხმა. სიტყვებს იმაზე მეტი უნდა შესძღებოდათ, ვიდრე მწერლის წარმოსახვაში შეეძლოთ. ქალბატონის წყენინების, დღეთა ქარაფშუტული მდინარებისგან მისი სულისა და სხეულის გამოხსნის, მოჩვენებითი ბრწყინვალეების მაძიებელი ამ საბრალო არსების განადგურების სურვილი საკუთარ თავში ყვავილივით უნდა გამეზარდა. იმაზეც უნდა მეზრუნა, რომ ჩემს დას ფეხი არ გადაბრუნებოდა – ბოლომდე მშვიდი და უზენაესი მიზნის ერთგული ყოფილიყო.

და.

ირინას რომ ჩემი ამბავი გაეგო, ახლა სანოლთან მიჯდებოდა – უცნობ მნახველებს, თავდაჯერებას მოკლებულ ქალიშვილებსა და მათ მარიკო-მეგობრებს მოახლოების უფლებას არ მისცემდა. თვალებსაც თავისი ხელით დამიხუჭავდა, როცა ერთ დღეს აქაურობას გამოვეთხოვებოდი. უხილავი ძაფებით გადაბმულები, სიტყვის უთქმელად გავუგებდით ერთმანეთს. როგორ იცინებდა, როცა მიხვდებოდა, რომ ცდუნებას ისევ ვერ გავუძელი და მოვკვდი.

ბავშვობაში ხშირად წარმოვიდგენდი ყვავილების სუნით გაჯერებულ ოთახში დასვენებულ ჩემს უსულო, ნატანჯ სხეულს. წარმოვიდგენდი ყველა შემომსვლელის სახესა და გულში ნათქვამ გამოსათხოვარ სიტყვებს. საუბედუროდ, ცოცხალი აღარ ვიყავი და ვერავის ვანუგეშებდი – მერე რა მოხდა, თუ არ გიყვარდი, ამ სამყაროში ცოტა ხნით ყოფნა მაინც კარგი იყო-მეთქი.

ირინა. ყველაზე ხშირად ალბათ იმას დავაყენებდი ჩემს თავ-ღია კუბოსთან.

ისევ აქ სხედან. პალტოები გაუხდიათ და ჩემთვის დაუფარებიათ – თხელ, დალაქავებულ საბანზე განოლილი ორი უშნო ღამურა. მაღალი სიცხე უნდა მქონდეს. თვალებს ძლივს ვახელ, თავის გადახრის ძალა არა მაქვს. ამათაც სცივათ – ხელით ნაქსოვ კაშნეებში ჩაუყვიათ გრძელი ცხვირები. გაცრეცილები არიან. სრუტუნებენ. ერთი შეხედვაც საკმარისია, რომ ორივეზე გული მოგივიდეს – რა უნდათ აქ? რას აკეთებენ?

ექიმი შემოდის და გადის. სხვა დროს სახეში მაშტერდება, ხელებისა და ფეხების მოხრას, აწევ-დანევას, თვალებთან საჩვენებელი თითის მიტანასა და მარტივად შესასრულებელი სხვა მოძრაობების გამეორებას მთხოვს ხოლმე. აქ ყოფნისას გონება რამდენჯერმე დამიკარგავს – საავადმყოფოს კედლების, ჩაბნელებული დერეფნიდან შემოსული შარდის სუნის, მოულოდნელად ატეხილი გულისწამლები წივილ-კივილის, ამ ოთახის გარეთ ცხოვრების უცაბედი გაჩერების ბრალი უნდა იყოს.

და ეს მაღალი სიცხეც...

გოგოებს წარმოდგენა არა აქვთ, რომ მწოლიარე ავადმყოფს თვალეში ყურება სულ მცირე შვებასაც ვერ აგრძნობინებს. არც სიჩუმის ვინმესთვის გაყოფა გვიყვარს. საწოლზე გადაფენილი პალტოებიც უკვე ძალიან მანუხებს – მცხელა! ან მითხარით, რის სათქმელადაც მოსულხართ, ან თავიდან მომწყდით მაგ თქვენი ვაშლებიანად!

ექთანი ეუბნება, ცოტა ხნით გადით – სავალდებულო პროცედურების დროაო.

რა პროცედურები?

როგორც კი კარს ხურავს, ზამთრის მინურულის ბროწეული თვალს მიკრავს.

– ვინ არიან? რა უნდათ?

ჩემს ხმას ველარ ვცნობ.

– რა გითხრა... თავყანისმცემლები გყავს. რომელი ჟერარ ფილიპი გნახეს...

– სულ აქ არიან?

– არა, ხანდახან მიდიან ხოლმე.

– ხანდახან?

– სალამოს მიდიან. დილით, შემოვლას რომ ვამთავრებთ, უკვე დერეფანში გვხვდებიან.

და ექიმი წამოდგომის უფლებას რატომ არ მაძლევს? ჩემი მდგომარეობა რომ დღითიდღე უარესდება, იქნებ სულაც საავადმყოფოს სულისშემხუთველ გარემოში ფრთაგაშლილი სასონარკვეთის ბრალია და სხვა არაფრის? ახლა რაღაც ვირუსიც ავიკიდე...

– იმას უნდა უყვარდე, შავთმიანს, – მეუბნება ექთანი.

– და ექიმმა რომ აუკრძალოს, არ შეიძლება?

– რა, კაცო, სიყვარული?

– ავადმყოფთან ყოფნა, ავადმყოფისთვის წერილების მიწერა, ავადმყოფისთვის სიყვარულის ახსნა...

ხმას ისე ვუწნევ, თითქოს მინდა, ქალაქის მეორე ბოლოში დივანზე წამოგორებულ, ცოლის კალთაში თავჩადებულ ექიმს მივან-